

წმიდა გრიგოლ ფერაძის პირველი საერთაშორისო კონფერენცია
საქართველო და ქრისტიანული სივლილე



St. Grigol Peradze 1st International Conference
GEORGIA IN THE CONTEXT OF CHRISTIAN CIVILIZATION

წმ. გრიგოლ ფერაძის
I საერთაშორისო კონფერენცია

საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია

მიძღვნილი წმინდანის დაბადების
120 წლისთვისადმი

ტარდება საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟით

მოხსენებათა თეზისები

თბილისი-ბაკურციხე
2019 წლის 11-13 სექტემბერი

ზობს, არამედ მეტადრე ზეციურ მოქალაქეობას წარმოაჩენს, უფრო სწორად, ამ ორის განუყოფლობასა და ერთობას.

ნაშრომში განხილულია წმინდა გრიგოლ ფერადის ორ საერთაშორისო კონფერენციაზე (ვენასა და ლოზანაში) წაკითხული მოხსენებები, სადაც იგი საუბრობს ქრისტიანთა ერთობის საკითხსა და მის მნიშვნელობაზე. წმ. გრიგოლ ფერადე თავად არის მაგალითი, ერთის მხრივ, როგორც ეკლესიათა შორის კავშირის მაძიებელისა, ხოლო, მეორეს მხრივ, როგორც ქრისტიანისა, რომელიც ხედავს ქრისტიანულ ფუნდამენტურ ფასეულობებს, როგორც აუცილებელ საფუძველს ნებისმიერი საეკლესიო ძალის-ხმევისათვის. სტატიის მიზანია უკეთ წარმოაჩინოს მღვდელმოწამე გრიგოლ ფერადის პორტრეტი მოქალაქეობისა და ერთობის შესახებ გაკეთებული მისეული განმარტებების შუქზე.

თემო ჯოჯუა
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო

**XVI საუკუნის ქართველი კალიგრაფის იაკობის უცნობი
კრიპტოგრამული ანდერძი კრაკოვის ეროვნული მუზეუმის
თავად ჩარტორისკების ბიბლიოთეკაში დაცული
III ქართული ჟამნიდან (Kr.1925)**

1. დღეისათვის კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თავად ჩარტორისკების ბიბლიოთეკაში XI-XVIII საუკუნეების თერთმეტი ქართული ხელნაწერი წიგნია დაცული. ამ ხელნაწერებს შორისაა ქაღალდზე დაწერილი III ჟამნი (Kr.1925), რომლის შედგენილობაშიც სამი სხვადასხვა დროის ტექსტი გამოიყოფა. ესენია:

ა) III ჟამნის გადამწერის მიერ XV-XVI საუკუნეების ხელით დაწერილი თავდაპირველი ტექსტი (57rv-134rv, 136rv).

ბ) III ჟამნის პირველი განმაახლებელ-შემავესებლის მიერ XVI საუკუნის კალიგრაფიული ხელით დაწერილი ტექსტი (3rv-56rv, 135rv, 137rv-185rv).

გ) III ჟამნის ბოლო შემავესებლების მიერ XVI-XVII საუკუნეების ორი სხვადასხვა ხელით დაწერილი ტექსტი (186rv-205rv).

2. III ჟამნის შედგენილობაში გამოყოფილ სხვადასხვა დროის ტექსტებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხელნაწერის პირველი განმაახლებელ-შემავესებლის მიერ XVI საუკუნის კალიგრაფიული ხელით დაწერილი ტექსტი, რომელსაც იმავე ხელით შესრულებული ორი ნუსხური ანდერძი აქვს დართული. ამათგან, პირველი ანდერძი კრიპტოგრამას წარმოადგენს და ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის ანჩინური სისტემით არის გადმოცემული. ქვემოთ მოვიტან ორივე ანდერძის ჩემეულ წაკითხვას. აქვე, აღვნიშნავ, რომ ეს ანდერძები აქამდე შეუნიშნული, წაკითხული, შესწავლილი ან გამოქვეყნებული არ ყოფილა:

I. 158v. „რღჳჳ [-] ოღჳჳჳჳ სცჳჳ“ (წაკითხვა: „ი(ეს)ო ქ(რისტ)ე, <[-> ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე იაკ(ო)ბ, ა(მი)წ“).

II. 184v. „ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ც(ო)დვილი მწერ(ა)კლო“.

3. III ჟამნის ციტირებული ანდერძებიდან დგინდება, რომ ხელნაწერის პირველი განმაახლებელ-შემავესებელი იყო XVI საუკუნის ქართველი კალიგრაფი იაკობი, რომელიც თავის ზოგიერთ ანდერძს ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობის ანჩინური სისტემით წერდა.

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ იაკობი ცნობილი მწიგნობარი იყო და ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, კლარჯეთის ერთ-ერთ ეკლესიასა თუ მონასტერში მოღვაწეობდა. მას გადაწერილი ჰქონდა სამი ქართული ხელნაწერი წიგნი: 1. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული გამოკრებილი სამოციქულო (A-4); 2. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული გამოკრებილი სამოციქულო-სახარება (1446-220); და 3. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექ-

ციაში დაცული ლიტურგიკული კრებული (C 25). ამიერიდან ცნობილი ხდება იაკობის სახელთან დაკავშირებული კიდევ ერთი, რიგით, მეოთხე ქართული ხელნაწერი – კრაკოვის ეროვნული მუზეუმის თავად ჩარტორისკების ბიბლიოთეკაში დაცული III ჟამნი (Kr.1925).

4. მოხსენებაში კოდიკოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით არის განხილული იაკობის ახლადგამოვლენილ კრიპტოგრაფულ ანდერძთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

გიორგი ჯღარკავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ქართველური ენების პარემიათა ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები

მონათესავე ქართველურ ენათა ოჯახი, რომელსაც მიეკუთვნება ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური, მოიაზრებს არამხოლოდ ენობრივ ერთიანობას ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, არამედ, ზოგადად, კულტურის ერთობასაც, ვინაიდან ენა, რომელიც ეროვნული კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს, მეტ-ნაკლებად, ისევე მოქმედებს კულტურაზე, როგორც კულტურა – ენაზე. ამ ორი მონაცემის მჭიდრო კავშირით, ურთიერთგანპირობებულობით ყალიბდება ერის კულტურული სივრცე, სხვათაგან გამორჩეული სისტემა, რომელსაც თვითმყოფადობას ვუწოდებთ. ენის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ცოდნის დაგროვება და თაობიდან თაობისათვის გადაცემა. დროისა და სივრცის ამგვარად გადალახვის შესაძლებლობა ენას წარმოგვიჩენს როგორც ერის კულტურის უწყვეტობის განმაპირობებელ ფენომენს. ლინგვისტიკასთან ერთად, აღნიშნული საკითხები ჰუმანიტარულ

St. Grigol Peradze 1st International Conference

Georgia in the Context of Christian Civilization

Dedicated to the 120th Birth Anniversary of the Saint

Under the Patronage of the President of Georgia

ABSTRACTS OF PAPERS

**Tbilisi-Bakurtsikhe
September 11-13, 2019**

values as a necessary basis for any church efforts. The purpose of the article is to better depict the portrait of St. Priest-Martyr Grigol Peradze in the light of his interpretations of citizenship and unity.

Temo Jojua

Ilia State University, Tbilisi, Georgia

**An Unknown Cryptographic will of Jacob, the 16th Century
Georgian Calligrapher, from the III Georgian Horologion
(Kr.1925) Preserved in the Princes Czartoryski Library at the
National Museum of Krakow**

1. Eleven Georgian handwritten books of the 11th -18th centuries are preserved in the Princes Czartoryski Library at the National Museum of Krakow. Among these manuscripts there is III Horologion written on paper (Kr.1925), which consists of three different texts:

Original text of III Horologion copied in the 15th -16th centuries (57rv-134rv, 136rv).

(A) A 16th-century rewritten and elaborated text of III Horologion (3rv-56rv, 135rv, 137rv-185rv).

(B) 16th-17th century texts of III Horologion rewritten in two different calligraphy (186rv-205rv).

2. Of particular interest is the 16th-century rewritten and elaborated text with two wills in *Nuskhuri* script. Of these, the first will is a cryptogram and represents the *Anchinuri* system of the old Georgian secret script. Below I shall propose my interpretation of both wills. These wills have not yet been noted, read, studied, or published:

I. 158გ. „რ~ღ~Á~ჟ [-] ო~ღ~ჟ~ჰ~რ~ზ~ც~გ~ფ“ (Jesus Christ, my Lord, have mercy on Jacob, Amen).

II. 184გ. „ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ც(ო)დვილი მწერ(ა)-ლი“ (God, have mercy on a sinful scribe).

3. From the wills cited in III Horologion it is identified that the first rewriter and elaborator of the manuscript was a 16th-century Georgian calligrapher Jacob, who wrote some of his wills with the Anchinuri system of ancient Georgian secret script.

The study of this issue shows that Jacob was a famous scribe and served in one of the churches or monasteries of Klarjeti in historical southern Georgia. He transcribed three Georgian handwritten books: 1. Collected Apostolic, kept at the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts (A-4); 2. Collected Apostolic, kept at the National Archives of Georgia (1446-220) and 3. The Liturgical Collection preserved in the Collection of Georgian Manuscripts at the Institute of Oriental Manuscripts of the Russian Academy of Sciences (C 25). From now on, another fourth Georgian manuscript relating to the name of Jacob has become known - III Horologion, kept in the Princes Czartoryski Library of the National Museum of Krakow (Kr.1925). .

4. The report discusses various issues from the point of view of codicology and source study, related to Jacob's recently discovered cryptographic will.

Mikheil Kartvelishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

Catholicos- Patriarch Melchizedek III and the Foreign Relations of the Georgian Orthodox Church

1. Throughout its existence, the Orthodox Church of Georgia has never been isolated from public life, it has historically close ecclesiastical-diplomatic and cultural relations with Christian churches, as well as other religious confessions, their leaders or individual representatives.
2. From this perspective, no exception is the XX century; although this period is really distinctive and interesting in its complexity and multilanguage, however, the Orthodox Church and its commanders on the Georgian Orthodox Church has never made the choice of

მხარდაჭერა/Supported by



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
(საგრანტო პროექტი №GEC-19-240)
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia
(Grant Project №GEC-19-240)



პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო თბილისში
პოლონური ინსტიტუტი თბილისში
Embassy of the Republic of Poland in Tbilisi
Polish Institute Tbilisi



კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრი
Korneli Kekelidze Georgian National Centre of
Manuscripts



გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია
Gurjaani City Hall



შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი



ვარშავის უნივერსიტეტი



Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

პოლონეთის რესპუბლიკის
საელჩო თბილისში



გიორგი ჩუბინაშვილის
ეროვნული ცენტრი



ხელნაწერთა ეროვნული
ცენტრი



საქართველოს საპატრიარქო



წმიდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოება